# ტექნიკური დავალება

## გოდერძის განამარხებული ტყის გეობილიკის მარშრუტის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისთვის

ივლისი, 2026

## 1.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება

გოდერძის განამარხებული ტყის გეობილიკის საფეხმავლო/კომბინირებული მარშრუტის მოწყობის, მარკირების, მანიშნებელი და საინფორმაციო-საინტერპრეტაციო ინფრასტრუქტურის დამზადება-მონტაჟის სამუშაოების შესყიდვა.

ინიციატვა შემუშავებულია CENN-ის მიერ, პროექტის - მწვანე კავკასია ფარგლებში, ავსტრიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

## 1.2 სამუშაოს აღწერა, შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

გოდერძის განამარხებული ტყის გეობილიკი უნდა მოეწყოს აჭარაში, ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. მარშრუტი უკავშირდება გოდერძის უღელტეხილის, კურორტ ბეშუმის, ალპური ბოტანიკური ბაღის და ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მიმდებარე არეალს.

### მარშრუტის ძირითადი პარამეტრები

| პარამეტრი | აღწერა |
|---|---|
| **მარშრუტის არეალი** | აჭარა, ხულოს მუნიციპალიტეტი |
| **გადაადგილების საშუალება** | საფეხმავლო; კომბინირებულად - საავტომობილო და საფეხმავლო |
| **სირთულის კატეგორია** | მარტივი |
| **მარშრუტის ტიპი** | წრიული |
| **სიგრძე** | საფეხმავლო მარშრუტი - დაახლოებით 8 კმ;<br>კომბინირებული ვარიანტი - საავტომობილო 6.7 კმ და საფეხმავლო 5.8 კმ |
| **სიმაღლე ზღვის დონიდან** | დაახლოებით 1884-2131 მ |
| **სასურველი სეზონი** | ივლისი-ოქტომბერი |

### შესასრულებელი სამუშაოების ძირითადი ჩამონათვალი

1. მარშრუტის საბოლოო სვლა-გეზის, მარკირების წერტილებისა და ინფრასტრუქტურის განთავსების ადგილების ადგილზე გადამოწმება შემსყიდველთან/ტექნიკურ ზედამხედველთან შეთანხმებით;
2. ბილიკის მონიშვნა საფეხმავლო მარშრუტების გეგმარებისა და მონიშვნის მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის და დამკვეთის მიერ მოწოდებული პროექტის შესაბამისად;
3. ბილიკის უსაფრთხო და მოსახერხებელი გადაადგილებისთვის საჭირო მინიმალური გაწმენდა ტოტებისგან, ლოდებისგან, წაქცეული მცენარეულობისგან და სხვა დაბრკოლებებისგან ისე, რომ მაქსიმალურად შენარჩუნდეს ბუნებრივი გარემო;
4. მიმართულების მანიშნებელი დაფების, ბოძების, საინფორმაციო და საინტერპრეტაციო დაფების დამზადება, ტრანსპორტირება და მონტაჟი;
5. საღებავით მარკირების ნიშნულების მოწყობა, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში ქვაყრილების/ქვის საყრდენი ნიშნულების მოწყობა ალპურ და სუბალპურ მონაკვეთებზე;
6. საინფორმაციო და საინტერპრეტაციო დაფების ბეჭდვითი დიზაინის მომზადება დამკვეთის მიერ მოწოდებული შაბლონების, ტექსტებისა და ფოტომასალის საფუძველზე;

7. მარშრუტის რუკის მომზადება ქართულ და ინგლისურ ენებზე, დამკვეთის მიერ მოწოდებული GPS ტრეკებისა და საველე გადამოწმების შედეგების საფუძველზე;
8. დამონტაჟებული ინფრასტრუქტურის სრული ფოტო-დოკუმენტირება და საბოლოო შესრულების დოკუმენტაციის მომზადება.

### მოსაწყობი ინფრასტრუქტურის რაოდენობა

| ინფრასტრუქტურა/სამუშაო | რაოდენობა | შენიშვნა |
|---|---|---|
| **საინფორმაციო დაფა** | 4 ცალი | მათ შორის მარშრუტის საწყის/საკვანძო წერტილებზე; ზუსტი ზომები და დიზაინი შეთანხმდეს დამკვეთთან; ზომები და სხვა დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. |
| **საინტერპრეტაციო დაფა** | 6 ცალი | გეოლოგიური და ბუნებრივი მემკვიდრეობის თემატური ინტერპრეტაციისთვის, ზომები და სხვა დეტალები მოცემულია დანართ 1-ში. |
| **მოთუთიებული ლითონის ბოძი** | 7 ცალი | მანიშნებელი დაფებისთვის |
| **მიმართულების მანიშნებელი დაფა** | 20 ცალი | მიმართულების, დისტანციის და საჭირო ინფორმაციის მითითებით. |
| **საღებავით მარკირება** | სრული მარშრუტი | ორმხრივად, რეგულარული ინტერვალებით |
| **ქვაყრილები/ქვის ნიშნულები** | საჭიროებისამებრ | იმ მონაკვეთებზე, სადაც არ არის შესაფერისი ბუნებრივი ზედაპირი ნიშნულის დასატანად. |
| **ბილიკის გაწმენდა** | სრული მარშრუტი | მხოლოდ გადაადგილებისთვის აუცილებელი მინიმალური ჩარევით. |

## 1.3 ტექნიკური მოთხოვნები და ხარისხის სტანდარტები

**ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს საქართველოში მოქმედი საფეხმავლო მარშრუტების გეგმარებისა და მონიშვნის ტექნიკური რეგლამენტის, დამკვეთის მიერ მოწოდებული მარკირების პროექტის (დანართი 1), ასევე გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად.**

### მონიშვნის ძირითადი მოთხოვნები

9. მარშრუტი უნდა მოინიშნოს ორმხრივად, ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით; თითოეული ნიშნული უნდა მიუთითებდეს მოძრაობის მხოლოდ ერთ მიმართულებას.
10. დამადასტურებელი ნიშნები განთავსდეს რეგულარული ინტერვალით, საშუალოდ ყოველ 250-300 მეტრში, თუმცა დამაბნეველ გადასახვევებზე, რთულ რელიეფზე, გზაჯვარედინებსა და არასაკმარისი ხილვადობის ადგილებში ინტერვალი უნდა შემცირდეს.

- მოხვევის ნიშნული გამოყენებულ უნდა იქნას იმ ადგილებში, სადაც მარშრუტი მკვეთრად იცვლის მიმართულებას და არ არის განთავსებული მიმართულების მანიშნებელი დაფა.
- ნიშნული უნდა განთავსდეს ვიზიტორის მოძრაობის შემხვედრ მხარეს, თვალსაჩინო ადგილას; შესაძლებლობის შემთხვევაში - მოძრაობის მიმართულების მარჯვენა მხარეს.
- ალპურ და ღია მონაკვეთებზე, სადაც არ არსებობს შესაფერისი ზედაპირი, მოეწყოს მყარი ქვაყრილი/ქვის საყრდენი, რომელზეც დატანილი იქნება ნიშნული.

- მარკირების საღებავები, ფირები და ბეჭდვითი მასალები უნდა იყოს გარე გამოყენებისთვის განკუთვნილი, წყლის, თოვლის და ტემპერატურული ცვლილებების მიმართ მედეგი.

მანიშნებელი დაფები და ბოძები

- მანიშნებელი დაფა დამზადდეს მინიმუმ 1.5 მმ სისქის ფურცლოვანი მოთუთიებული ფოლადისგან ან ტექნიკური რეგლამენტით დაშვებული ეკვივალენტური მასალისგან.
- დაფაზე დასაკრავი თვითწებვადი ფირი უნდა იყოს ლამინირებული, გარე გამოყენებისთვის განკუთვნილი და მაღალი მედეგობის მქონე მექანიკური და ბუნებრივი ზემოქმედებების მიმართ.
- ბოძი დამზადდეს 6 სმ გარე დიამეტრის, მინიმუმ 2 მმ კედლის სისქის მქონე, დაახლოებით 1.7 მ სიგრძის მოთუთიებული ფოლადის მილისგან, ქვედა ნაწილში ჯვარედინი არმატურით.
- ბოძები დამაგრდეს ბეტონის საფუძველში, ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სიღრმისა და ზომების დაცვით; მიწისქვეშა სამუშაოები აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს ფოტომასალით.

საინფორმაციო და საინტერპრეტაციო დაფები

- საინფორმაციო/საინტერპრეტაციო დაფების კონსტრუქცია, ზომა, მასალა და დიზაინი უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან სამუშაოების დაწყებამდე.
- დაფები უნდა დამზადდეს გარე პირობებისთვის გამძლე მასალისგან; ლითონის კონსტრუქციის გამოყენების შემთხვევაში ჩარჩო-სამაგრი უნდა იყოს ფოლადის ან მოთუთიებული ფოლადის კონსტრუქცია, სათანადო ანტიკოროზიული დამუშავებით/ელექტროსტატიკური შეღებვით.
- დაფებზე განთავსებული ვიზუალური მასალა უნდა დაიბეჭდოს მაღალი ხარისხის ლამინირებულ თვითწებვად ფირზე ან ეკვივალენტურ გარე გამოყენების მასალაზე.
- საინტერპრეტაციო დაფების შინაარსი უნდა მოიცავდეს გოდერძის განამარხებული ტყის გეოლოგიურ, პალეობოტანიკურ და ლანდშაფტურ მნიშვნელობას, დამკვეთის მიერ დამტკიცებული ტექსტების მიხედვით.
- დაფების საბოლოო ბეჭდვითი ფაილები დამზადებამდე უნდა დამტკიცდეს დამკვეთის მიერ.

რუკები და ელექტრონული ფაილები

- მარშრუტის რუკები უნდა მომზადდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- რუკა უნდა მომზადდეს დამკვეთის მიერ მოწოდებული GPS ტრეკების, საველე გადამოწმებული კოორდინატების და მარშრუტის ინფრასტრუქტურის განთავსების წერტილების მიხედვით.
- რუკას უნდა ჰქონდეს ლეგენდა, მასშტაბი, კოორდინატთა ბადე, მარშრუტის სირთულის/ტიპის მითითება და სხვა აუცილებელი ვიზუალური ელემენტები.
- საბოლოო მასალები უნდა ჩაბარდეს სამუშაო PDF ფორმატში, ბეჭდვით PDF ფორმატში

## 1.4 შესრულების, მონიტორინგისა და მიღება-ჩაბარების წესი

- სამუშაოების დაწყების კონკრეტული თარიღი განისაზღვრება დამკვეთის მიერ წერილობითი შეტყობინებით, რადგან მარშრუტი მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში და თოვლის საფარის/ამინდის პირობების პროგნოზირება წინასწარ სრულად შეუძლებელია.
- სამუშაოების შესრულებისა და ჩაბარების ვადა შეადგენს 45 კალენდარულ დღეს დამკვეთის წერილობითი შეტყობინებით განსაზღვრული დაწყების თარიღიდან.
- მონიტორინგის ვადა განისაზღვრება 10 სამუშაო დღით და იგი არ ჩაითვლება საჯარიმო დღეებში.
- შემსრულებელი ვალდებულია სამუშაოების სრულად შესრულებისთანავე წერილობით აცნობოს დამკვეთს, რათა განხორციელდეს დროული მონიტორინგი.

- ხარვეზის/ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ხარვეზი. ხარვეზის/ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში დამკვეთი წერილობით განსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად; ხარვეზის გამოსწორების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს დამკვეთს.
- საჯარიმო ვადის ათვლა დაიწყება არასრულად ან არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოს შესახებ დამკვეთის მიერ შედგენილი დოკუმენტის რეგისტრაციის თარიღიდან, თუ ხარვეზი განსაზღვრულ ვადაში არ აღმოიფხვრა.

## 1.5 ჩასაბარებელი დოკუმენტაცია

- დამონტაჟებული ინფრასტრუქტურის სრული ფოტო-რეესტრი მაღალი ხარისხით, ფოტოებზე მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს მანიშნებელი/დაფის ტექსტები.
- თითოეული ობიექტის ფოტო შორიდან და ისეთი რაკურსით, რომ სრულად ჩანდეს ბოძი/დაფა, მისი დამონტაჟების ადგილი და შემოგარენი.
- მიწისქვეშა სამუშაოების ამსახველი ფოტოები: თხრილი, სიღრმე, დიამეტრი/ზომა, არმატურა/სამაგრი, ბეტონირება.
- საბოლოო რუკები: PDF, სამუშაო ფაილები
- დამტკიცებული დიზაინების ბეჭდვითი ფაილები საინფორმაციო, საინტერპრეტაციო და მანიშნებელი დაფებისთვის.
- შესრულებული სამუშაოების შემაჯამებელი ანგარიში, სადაც მითითებული იქნება შესრულებული მოცულობები, გამოყენებული მასალები, კოორდინატები და შესაბამისობის აღწერა.

## 1.6 საგარანტიო პირობები

შემსრულებელმა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 წლის ვადით უნდა გასცეს გარანტია მიწოდებულ/დამონტაჟებულ ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის კონსტრუქციებზე, ბოძებზე, დაფებზე, ბეჭდვით მასალაზე, ფირზე, სამაგრებზე და მონტაჟის ხარისხზე. გარანტია არ ვრცელდება მესამე პირების მიერ განზრახ დაზიანებაზე, სტიქიურ მოვლენებზე ან იმ გარემოებებზე, რომლებიც არ უკავშირდება მასალისა და მონტაჟის ხარისხს; ასეთი შემთხვევები უნდა დადასტურდეს შესაბამისი აქტით.

## 1.7 პრეტენდენტის გამოცდილება და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

11. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ორი პროექტის განხორციელების გამოცდილება, რომელიც უკავშირდება სამთო-საფეხმავლო ბილიკზე მიმართულების მანიშნებელი, საინფორმაციო ან საინტერპრეტაციო დაფების დამზადებასა და მონტაჟს ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით. აქედან მინიმუმ ერთი პროექტი უნდა უკავშირდებოდეს ბუნების საგანამანათლებლო-შემეცნებითი მარშრუტის მოწყობას.
12. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულებები და მათი შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები ან სხვა დოკუმენტები.
13. შემსყიდველი უფლებამოსილია ანალოგიური სამუშაოების იდენტიფიცირების მიზნით მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან კანონმდებლობით ნებადართული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი.

## 1.8 წინადადების წარდგენის ვადა და წარსადგენი დოკუმენტაცია

დაინტერესებულმა იურიდიულმა პირებმა გთხოვთ, წინადადება გამოგზავნოთ **არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივლისისა** (00:00 საათამდე), შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Tenders@cenn.org (გთხოვთ, დანიშნულებაში მიუთითოთ: **ტენდერი გოდერძის გეოპარკის მოწყობის სამუშაოებზე**). აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წამოდგენილი წინადადებები არ განიხილება.

წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- შევსებული **ბიუჯეტის (ხარჯთაღრიცხვის) ფორმა** - წინამდებარე ტექნიკური დავალების დანართის შესაბამისად, ფასები ლარში (დღგ-ს გარეშე), უფლებამოსილი პირის ხელმოწერით/ბეჭდით დადასტურებული.
- **რეკვიზიტები** და განახლებული, 2026 წლის, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან.
- **გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები** (პუნქტი 1.7-ის შესაბამისად) -მინიმუმ ორი ანალოგიური პროექტის ხელშეკრულებები და მათი შესრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები ან სხვა დოკუმენტები; აქედან მინიმუმ ერთი უნდა უკავშირდებოდეს ბუნების საგანმანათლებლო-შემეცნებითი მარშრუტის მოწყობას.
- სამუშაოს შესრულების **მოკლე გეგმა/მეთოდოლოგია** - ძირითადი ეტაპები, გამოსაყენებელი მასალები და სავარაუდო ვადები.
- პროექტის განმახორციელებელი ძირითადი ჯგუფის **რეზიუმეები** (ქართულ ან ინგლისურ ენაზე)
- **წინადადების მოქმედების ვადის მითითება** (სასურველია არანაკლებ 14 კალენდარული დღე წარდგენიდან).
- უფლებამოსილი პირის **ხელმოწერა და საკონტაქტო ინფორმაცია** (სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონი, ელ-ფოსტა).

## 1.9 განაცხადის შეფასება

განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მომსახურების ღირებულება - 30%
- აპლიკანტის გამოცდილება - 40%
- შემოთავაზებული მეთოდოლოგია - 20%
- შემოთავაზების მოთხოვნასთან შესაბამისობა - 10%